



საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
 243, Sh. Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax::(0413 275211
 E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
 Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 117

30 ივნისი 2018 წელი

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106¹ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106² მუხლის მე-3 ნაწილის, 106³ მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 30 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2020 წლის 30 ივლისამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 10 ივლისამდე.
5. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს - ზურაბი აფაქიძეს და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - ვეფხვია რუსიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 თავმჯდომარის მოადგილე:



ბადრი კალანდარიშვილი